


# საქართველო



საქმენიერო და სალიბერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 14.

აპრილი 4, 1893 წ.

№ 14.

**შანახისა:** — გახსენება, აკაკისა. — ღარიბი, ლექსი მ. ლ.სა. — მატანე. — ერთი მიზეზთაგანი ჩვენებურ სოფლებში მჭურნეობის დაკვირვისა შ. გულისა შვილისა. — დედა ენა, ლექსი სვიმონ გუგუზაძისი. — დღეობა, დამითევა და ხატობა გ. — ლისა. — ხალხური ლექსები. — დარიელა გ. წერეთლისა. — შეცდომა (პოლშუზი მოთხრობა). — განცხადებანი.

## გახსენება

**შ**კანასკნელ საუკუნოებში, საქართველოს დაუძლეველბასთან ერთად მისი მწიგნობრობაც დაღუპდა, ისე რომ ზოგმა ოჯახი-შვილთაგანმა კალმის მოსმაც აღარ იცოდა. ან კი საიდან უნდა სკონდოდათ, რომ იმ თავითვე, ბევრობიდანვე, ბრძოლის ველზე ათენ-ალამებდენ? ქალები ვადიასხალისდენ, ყოველგვარი საოჯახო საქმე ხელში ჩაუვარდათ და მწიგნობრობაც მათ დარჩათ. იშვიათად ნახა-



ბარბარე ჯარაძისა

დით იმისთანა ოჯახის ასულს, რომ საღმრთო-საეროში გაწაფული არ ყოფილიყოს და წერა-კითხვა ზედ-მიწევნით არა სკონდოდეს, მაგრამ მაინც არც ერთ ქალთაგანს მწიგნობრობით თავი არ გამოუჩენია და მამა-კაცთაგანი კითხო-აროლი მწერალი, მოღვესე და მოშაირე არ გამოღვეულა. ამას ტყუილად ნურაინც მიაწერს ქალების უნიჭობას!... მიზეზი სულ სხვა იყო: „ვეფხისტყაოსნის“ დედა-აზრი ბევრს დღესაც კიდევ არ ესმის, არა თუ მამინ. საზო-

გაღოდ სატრფიალო ზღაპარი ეგონათ, მაგრამ შაირების კაზმულობით კი ასე იყვენ მოხიზლული და გატაცებული, რომ მის უარის ყოფას ეგღარ ახერხებდენ, თუმც მრჩეველები ჰყავდათ და მათ რიცში თვით ანტონ ქათალიკოზიცი. ეს უკანასკნელები ამტკიცებდენ, რომ „ეფეხის ტყაოსნის“ კითხვით ქართელები ქალები მოიხიზლენ და კეკლუტობას მიჰყვეს ხელიო. ეს ამბავი არც კი ტყუილი იყო: არა თუ ქალები ჰმადებდენ ნესტანსა და თინათინს, კაცებიც კი ტარიელ-ავთანდილობას ცდილობდენ.

მაგალითად: ყმაწვილ-კაცები მაჯას იხსნიდენ, საყუთარის სისხლითა სწერდენ სააშიყო წერილებს და სანამ სატროსავან გაღწევეტილი პასუხი არ მოუვიდოდათ, ბაღდადით გულზე ხელ-ჩამოკიდებული იდგოდენ. ამ გეგარად, ვითმო, ისინი ტარიელსა ჰმადებდენ, რომელმაც სვედების შემოწოლის შემდეგ, მაჯა გაიხსნა და ხელ-ჩამოკიდებული ეჩინა სატროს. მართლა, რომ ყოველ გეგარად მომხიზლავი შეიქნა ქართველების ეს დიდებული თხზულება, „ეფეხის ტყაოსანი“. იმერეთში ბეკის ნახადით საუცხოვო ლექსის მწერალს, რომელსაც პროზით მოკითხვის ბართის დაწერაც არ შეეძლო! მაგრამ ესეც კი იყო, რომ თუ ლექსად, შაირად, გარდა სააშიყო ლათაიებისა, სხვაც რამე კიდევ დაიწერებოდა, წარმოადგენილიც არ ჰქონდათ!... ამერეთში, ესე იგი, აღმოსავლეთ საქართველოში, კიდევ უარესი იყო.

„ეფეხის ტყაოსანი“ დამებატაპარსული ლიტერატურა: ფირღუსის, საჰადის, შაჰისის, ფიოზულისა და სხვა მწერლების ნაწერები ითარგმნებოდა ქართულად და ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ხალხი, რომ აღბად ყოველგან ასე არის და ლექსი მხოლოდ სასიყვარულო გრძნობის გამოსახატავად ყოფილა გამოგონებულიო. სიყვარულისა და ტრფიალების გამოცხადება მაშინაც და დღესაც კაცებს ებატებოდათ და ებატებებთ ქვეყნის თელში, მაგრამ ქალებისთვის კი დიდი ცოდვა და საძრახისი რამ იყო და არის. და თუ ქალისაგან სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ დიდ სირცხვილი იყო, რასაკერაეღოა, ლექსის და შაირის წერაც საძრახისი იქნებოდა, თორემ, ვინ იცის, რადენი ყოფილა მიწაქვე და „მოგაწერა წაიკითხეს“ კილოზე, მშენეიერი შაირები უწერია საიდუმლოდ!

პირველი ქალი, რომელსაც საქვეყნოდ დაუწყია ლექსების წერა იმ საუკუნის დასასრულში და ამ საუკუნის დასაწყისში, ყოფილა დაიჯან ბატონიშვილი, მეფე სოლომონ პირველის ქალი; იმას უწერია სხვა-დასხვა ძილისპირები და საგალობლები ლექსად;

ჩვენამდის მოაწია მხოლოდ მისმა „ანბანთ ქებამ“ და ერთმა „ღეთის-მშობლის შესხმამ“, რომელიც ასე დაიწყება:

ჯერისგან შესხმა შენი არის ძალუმს, ღეთისა სძალო,  
საი ვიდ შეკრებ ქებად შენდა ანგლოხნი, კაცი, ქალო;  
მამსა, რომ გიძღვნენ კინამ, კასი,საქმელ, გუნდრუტ,მური, ალო,  
და შეადვისა წმინდა დედაც, ცოდვა მყურენ, დედოფალო!

ამასვე აწერენ მრისხანე სატირას თეოფილაქტეზელ. ამავე დროს ამერეთშიაც გამოჩენილა მწერალი ქალი თეკლე ბატონიშვილი, რომლისაც მხოლოდ ერთმა მუხამამამა, სვედის ბაღს შეველ-ის ხმაზე დაწერილა, მოაწია ჩვენამდის: „ჩრდილოთ ეხილულე შევი დრუბლები“ და სხე.

ამ ორმოცდა ათის წლის წინად გეგარდა ხმა საქართველოში, რომ დიდი ივანე ერისთავის ქალები მშენეიერად გამოზრდილნი არიან, საღეთო-საგრო-ში გაწაფულნი, და ზედ-მიწვენირთაც იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელის კათეგორია და სხე. და სხეანი. იმ დროს ჩვეულება იყო კიდევ ქართლში, რომ დიდი ოჯახი დიდს ოჯახს დამოუყვრებოდა; და წერეთლის ოჯახმა მოინდომა ერისთავის ოჯახის დამოუყვრება. გრიგოლ წერეთლის შეიღმა აღექანდრემ ითხზევა ერთი იმ ივანე ერისთავის ქალთაგანი ეკატერინე. წერეთლები მიელოდენ დემოფლურად გამოზნულ ოჯახის ასულს, ყოველს შემთხვევაში თე-დაქერილს, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაცივრება, როდესაც ხელში დარჩათ პოეტური გრძნობით აღესილი ახალგაზნა ცქრილა ქალი, რომელიც თავს არ იტყრდა, ყოველისფერს თანა უგრძნობდა, კარგს რასმე შეფრქვევით მიგზაფიფებოდა, ცუდს ზიზღით ზურგს უჩვენებდა და შორიდებოდა. ამ გეგარი პირ-და-პირობა, თე-დაუტყვრობა და ზედ დართული მოღუქსეობაც არ ესიამოვნა ქმარს და ცოლ-ქმარს შუა ცხოვრება გამწარდა. მაშინ პოეტმა ქალმა ლექსით გამოხატა თავისი ტანჯების ის ლექსი იწყებოდა ამ სიტყვებით:

ზაშორით ჩაგრულნი გაზაფხულს ველით, ვიხარებთ ყოველნი,  
მხედვთ შეგულა ბუნება და მწუხანით მოსილა ველი! და სხე.

ეს ლექსი მოედვა მთელს მხარეს და სასიძღვრო ლექსად გადაიქცა. თუმცა ხალხი საიმოვნებით იმღეროდა ამ ლექსს, მაგრამ როგორც ქალს ქების ტაშს მინიცი არავინ უტყავდა, და თუმცა გიორგი ერისთავმა, ჩვენმა გამოჩენილმა კომიკოსმა, გულუხარინად წოდებულმა, დიდი თანაგრძნობა გამოუტყნა მწერალს, მაგრამ მინიცი ვერა უშველარა და ამისი ბრალია თუ გულგატეხილა მწერალმა ქალმა ბევრი არა დაგეიტოვარა. ესევე უნდა ესთქეთ არა ნაკლების

ნიკის მეტონის მისი მეორე დის მარიამ ერისთავის შესახებ.

მხოლოდ ამ ოც-დაათის წლის წინედ, როდესაც „ციცკარი“ გამოდიოდა, პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ ერთი ახალგაზდა ქალი და ეს ქალი იყო ქ. ბარბარე ჯორჯაძისა. იმან არ მიაქცია ყურადღება ძველ თაობის კიხეა-გინებას და შეენიერი ლექსებით აცხადებდა თავის გული-პასუხებს; მისთქამდა წარსულზედ, შეფრცვეთი უგალობდა მომავალს და უსიტყვოდ არ ავდებდა აწმყოს აე-კარგიანობას. ამ გვარი მოვლინება, რასაკვირველია, სასიამოვნო იყო და მაშინდელი ახალთაობაც უნდა სიამოვნებით მიგებებოდა და მხარი მიეცა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, მაშინ პოეზიისათვის მეტად ცუდი დრო იყო. საზოგადოდ, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ხელოვნებას ყურადღებას არავე აქცევდა; მწერლობაში მხოლოდ ცარიელ სიტყვების ბრანა-ბრუნა და თუთიყუშვით გამეორებულს სხეების აზრს ჰქონდა პატივი. თინჯ ამ კანონს არ ემორჩილებოდა, იმაზედ ახალთაობას იერიში მიჰქონდა და ბევრსაც ვაგადებინეს კალამი ხელიდან. მაგალითები: თ-დი რევან შალვას ძე ერისთავი სწერდა ლექსებს და იმ დროს შესაფერად არც ურიგობს; თარგმნითაც ბევრს თარგმნიდა, სხვათა შორის ეთარგმნა კაშლოვის პოემა „შეშლილი“ და ისე შეანანეს მას შრომა, რომ საუკუნოდ ხელი ააღებინეს წერაზედ. ამ გვარივე დღე დააყენეს ბევრს სხეებსაც, მაგრამ ქ. ბარბარე ჯორჯაძისს კი იარალი არ დაავლო, შეგებასა ახალ თაობის მეთაურებს და მაშინ მათი ატყდა ერთი აღიარებითი ლიტერატურაში. ქალის მხარეს იჭერდნენ ძველი მწერლები, მაგალითად ალ. ორბელიანი, ი. კერესელიძე, დ. ბერიშვილი, ლ. არდაზიანი და სხვები. საიდუმლოდ დიმი. ბაქრაძეც მხარს აძლევდა. ახალ-თაობიდანაც ერთი ორი მიუღდა: ერთი მათგანი იყო, მგონია, ა. ფურცელაძეც, მაგრამ ამათაც ძვირად დაუჯდათ ბოლოს ეს მიდგომა. ასე თუ ისე, ამათმა მხარის მიცემა მწერალი ქალი მაინც ვაამხნევა, მოუხშირა წერას და სხვათა შორის დიმიწყო დამაინის წერაც. პირველი მისი დრამა იყო „შურს“, იმის თან მიჰყვა: „რას ეძებდი და რა ეპოვე“ და სხვანი. როდესაც „ციცკარი“ დიხებრა და მწერლობა ვადავიდა მაშინდელ ახალ-თაობის ხელში, ქ. ბარბარე ჯორჯაძისს მოესპო საშუალება, რომ ებეჭდა სადმე თავის ნაწერებს; წავიდა სოფლად და ამას შემდეგ მის ნაწერს ევლარას ეხელავლით, თუმცა, როგორც ლესაც სჩანს, ჩვენის მწერლობისათვის თვალყური იქაც კიდევ უღვენებია.

ახლა ესთქვით ორიოდ სიტყვა მის შესახებ, თუ პირველად როგორ ვავიციანი მე ისა. თ. ალ. ორბელიანისთანა ქართველ კაცს ძვირად შეგხედერივარ; სულითა და გულით მოყვარული იყო ჩვენის ხალხისა და ჩვენის ქვეყნისა და თითქმის თავდასადებლადაც მხად იყო. როდესაც ვავიგნებდა, რომ ესა-და-ეს ნიკიერი ვინმე ვამოჩნდა საქართველოში, მის სიბარულს სახლეგარი არ ჰქონდა და მაშაშვილურად დაუწყებდა ალერსს. როგორც მეტადრე გულ-ჩხვილ კაცს ცოტა რამ იამებოდა, ცოტა რამ ეწყინებოდა, და ამის გამო ძვირად ნახავდით, რომ ან ძალიან მხიარული არ ყოფილიყო და ან ძალიან მოწყენილი; შუათანობა არ იცოდა. ერთხელ ვნახე მხოლოდ ვითომ მოწყენილიც იყო და მხიარულიც; როდესაც ამ უტყულო საკვირველების მიზეზი ვკითხე, აი, რა მითხრა: „იმ დალოცვილმა გიორგი მუხრანსკიმ მაწყენინა: საჯაროდ დიწყო დამტკიცება, რომ პატარას ნება არა აქვს თავის თაგობისა და უნდა ცდილობდეს, რომ დიდში გადაიტანოს თავის თავე და იმაში ვანზოცვილდეს.“ მაშინ ერთმა ვინმე უპასუხა: „თქვენ, ბატონო, პატარა ტანისა ბრძანდებით, კახელი მოქიდავე ოდრუველა კი ზორბა ტანისააო, ერთი-ორად ერთი სამად თქვენზედ მეტია და არა გნებათ, რომ ვაოდრუველდეთო?“ გიორგიმ ვაიციანა და უთხრა: „მე კერძო პირებზედ თითო-ორილაზედ კი არ მოვახსენებთ, ხაერთოდ, საზოგადოდ ვამბობო.“ კიდევ უპასუხეს: „არც ევ არის სიმართლეო, აქლემები უფრო დიდები არიან კაცებზედ, მაშინ თითქმის დაბუკობდება გიორგიმ, სხვა რომ ევლარა მოახერხა-რა, წამოიძახა: „მე მოვახსენებთ პოეტებზედ და მწერლობაზედ. პატარა ხალხს რომ დიდი პოეტი ჰყვანდეს და დიდი მწერალი შეუძლებელიაო; დიდს ხალხებში ნიკიც დილიაო.“ ამის პასუხად ისევე იმან ეს მოახსენა: „მავისი რა მოვახსენოთ, ევ თქვენ უტყუ უნდა იცოდეთ, მეცნიერი და ნასწავლი კაცი ბრძანდებითო, მაგრამ ეს კი შემიწინააღმდეგ, რომ პატარა ბულბული მშვენიერად ვალობს და დიდი მამალი ყოყლიყოს ვაგას ევლარას ახერხებსო.“ ასე მოუჭრა სიტყვა და მათათვით, და იცით, მოპასუხე ვინ იყო? მკითხვა ალექსანდრემ, ჩვენებურად შინ ვაზდელი ქალი ქ. ბარბარე ჯორჯაძისაო. ახლა ხომ ხედავ, რად ვარ ერთსა და იმავე დროს მოწყენილიც და მხიარულიცაო; ვერ მომიწინებია განათლებულის კაცის აზრი და ალტაცებაში მოყვარე შინ ვაზდელი ქალის გრძობა-ვანებასაო.

მე რაღვანაც ბარბარეს არ ვიცილობდი, ალექსანდრემ წამიყვანა ვასაცნობად. მწერალი ქალი, სო-



ფლიდან ჩამოსული, კერესელიძისთან ჩამომხტარიყო, რომელთანაც ნათელ-მირონობა ჰქონდა; სახლის პატრონმა რომ ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, ძალიან იამა და მითხრა: „ეს ქალი ახლა საკუთარ ოთახში ზის, სწერს და ისე შევიყვან უტბად, რომ თითონაც არ იცოდესო. მომავლო ხელი და ძალათი წამიყვანა. როდესაც მე ენ. ბარბარე ჯორჯაძის ლექსებს ეკითხულობდი, სულ სხვა ნაირად მყენდა წარმოდგენილი ავტორი; ჩემის აზრით ის უნდა ყოფილიყო ტან-მორჩილი, გამხდარი, მეტად მკვირცხლი, მოუხეყნარი, სხაპა-სხუპითი მოლაპარაკე და განსაკუთრებით წერის დროს მეტად აღლევებული, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი ვაიკება, როდესაც მის ოთახში შევიდით: სტოლთან იჯდა ერთი საკმაოდ მსუქანი, მოსული, თელ-ტანადი ახალ-გაზდა ქალი, რომელსაც მუხლი-მუხლზედ გადაედვა, ზედ ერთი ფურცელი ქალაღი დაედვა და დინჯად ლექსა სწერდა. ეს იყო მისი უკეთესი ლექსი „არაგვი“. მაშინ მეც შევიტყე, რომ თუ არ მუხლზედ, ძველმებურად, ისე წერა არ ემარჯებოდა. ნეტავი ახლაც ისე სწერს, თუ არა?

აკაკია.

### ღ ა რ ი ბ ი

**მ**ე უფალო, გადმოხმდე, შეისმინე ჩემი აჯა: ამ წყევლმა სიღარიბემ, გული მოკლა, დამისაჯა...

ზამთარია, სიცივით ეთრთი, თავზე ქედი, —ტანსუარაჯა, ბედ-კრულს სისხლი გამეყინა, აღარა სცემს გული, მავა.

ვეოღები გაზაფხულსა, მეტ ლოდინმაც გული სტანჯა. გაზაფხული, გაზაფხული, თორემ გზები დამეხანჯა!

მ. ლ.

### მ ა ტ ი ა ნ ე



მ დღეებში შეგვხვდა ორი წერილის წაკითხვა: ერთი „ეკლის“ მატანესთვის არის დაწერილი და მოგვიხირობს სასტიკის ზამთრის ამბავს სენათში, სამი კაცის სიკვდილს თოვლის ზეცებისაგან, ერთი სიტყვით იმისთანა რასმე, რაც ხშირია ამ თოვლიან-ყინულიან ქვეყანაში. მეორე წერილი კერძოა, შეგვხვდა ერთ საკმაოდ განვითარებულის კაცის ამბავს, რომელიც მღვდლად წასულა სენათში და იქ სამრევლო სკოლა გაუხსნია.

ჩვენ ეს უკანასკნელი უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია:

„წავედი მღვდლად სენათში და გაემართე სკოლა, სადაც ამ ქვამდ ოც-და-ჩვიდმეტი პატარა სენანი სწავლობს“, სწერს ახლად ნაკურთხი მღვდელი ერთს თავის მეგობარს. „სწორედ ამით მიღვია აქ სული. რომ უყურო ღარიბ, მაგრამ სიცოცხლის საცემ სენანს ბავშვების წერა-კითხვას და ქართულად ლაპარაკს, ალტაეცაში მოხვალ. მაღვ თივისებენ ქართულ ენას. მღვდლისათვის მართლა ძალიან სასარგებლოა ეს სამრევლო სკოლა. ჩემს შევირდებს მაგალითად ვასწავლე ქართული საეკლესიო გალობაც; ყოველ წირვა-ლოცვაზე ოც-დაათი მოსწავლე გალობას მეუბნება და ხალხმაც სიარული დაიწყო... ექვსს დღეს კვირაში ვასწავლი პატარაებს და მეშვიდე დღეს ეკლესიაში ხალხს“.

„ხალხმაც სიარული დაიწყო“... დილაღ დაწყებდა, რაკი ნახვდა ქეშმარიტს მოძღვარს, კავშირის დამამყარებელს თვით ხალხსა და ეკლესიას შორის. დილაღ დაიწყებდა, რაკი გაიგონებდა მამაშვილურს დარიგებას ახალის მწყემსისას და მოისმენდა მწყობრს გალობას ოც-დაათის ჩვილის ყრმისას, თავის შვილისას, ძმისას, დისას. ეინ უზამს პართლაღ ხალხს მისიონერობას, ეინ დააყენებს ქეშმარიტს ქრისტიანულს გზაზედ, თუ არ იმ ხალხისავე შვილი გონება განვითარებული დამისი სიყვარულით მტკიცედ გამსქველული? —მერე რა ხალხს და რა ვარემოკებაში ჩაყენებულს?

თითქმის ველურს, განადირებულს, მთა-კლდეებში შემწყვედიულს ზეწლიწადში შვიდი-რვა თვე მთელ ქვეყნიერობას მოწყვეტილს. ხალხს, რომელსაც სახელით თუ სწამს ჩვენი სარწმუნოება, თორემ ნამდვილად კი თავის დეკანოზებსა და პაპებს მისჩერებია და მათგან მოელის სიეთესა და ლოცვა-კურთხევას.



სწორედ ძნელია, მეტად ძნელია ამისთანა გარემოებაში შრომა და მოქმედება საუკუნოდ მოწყვეტვა იმისთანა ქვეყანაში,

„სადაც ჩანსჭრა გადმოჭჭუს ბროლი-წუღიანი,“

სადაც თოვლიან ყინულიანი მთები ცთამდე აყუდებულან და პოგზის მასლას თუმცა ბევრს აძლევენ პოეტებს და მოგზაურებს, მაგრამ რომელი ყურება მუდამ-დღე გულს უმჩიმებს აღამიანს და ანდომებს ნახვას მზარეულის, აყევებულის, მზიან ეაკისას. დიდი სიმზენ, წნეობის ფრიადი სისხტაკე, ნამდვილი წარმოდგენა აღამიანის ელისა არის საჭირო, თითქმის ქრისტიანებრივი მოციქულობა, რომ ამისთანა მდგომარეობაში ჩაყენებული პირი მტკიცედ დაადგეს ერთხელე ამორჩეულს გზას და არ უმტყუნოს ბოლოამდე თავის იდეალს, ნება-ყოფლობით ნაკისრებს თავის წმინდა მოვალეობას.



მალე ტფილისის ქალაქის საბჭო დაიშლება და ახალის კანონის წესზედ არჩევნები მოხდება. ამზობენ ეს არჩევნები მაისის 16-ს დაიწყებო. მაგრამ ამ მიწურულებში ძველი საბჭო, რომელსაც ასე უდროოდ დღე მოუსწრაფეს, მაინც არ იშლის თავისას, შეძლებისამებრ უთითებს ქალაქის სხვა-და-სხვა ნაკლებეანებაზედ და უჩვენებს საშველ გზას. წარსულს სდამახუნე, მაგალითად, ჩამოვარდა ლაბარაკი იმპერე, რომ ჩვენი ქალაქი სრულიად არ აქცევს ყურადღებას ბაღებისა და ხეების გაწვენებას, გამწვენიერებას. სხვა ქვეყანაში იმე შეუთვისებიათ ამათი სარგებლობა, რომ თითოეულის ხეს შეიღსავით უფლიან, ანე-ბიერებენ და სასახელოდ მაინნათ მრავალ-ასწლოვანი უზარ-მაზარი ხეები, მოწამენი მათის წარსული-სა. სცადეთ და პარიჟში, ან ბერლინიში საზოგადო-ბაღში ბუჩქს ან ხეს თუნდ ოდნეე ქერქი აცალეთ, მაშინეე ხუთი-ექსა ფრანკუნი, ან ნემციე მოგაციე-დება და მიგიწვეეს პოლიციაში მათის ჩაზოგადო-საკუთრების ვაფუტებისათვის. ჩვენში სულ სხვაა. ჩვენ არამც თუ ახალს არას ეაკეთებთ, ასწლოვან ხეებს უწყალოდ ეაკფეთ და მათ ადგალას, ეინ იტის, რას და ეისთვის არ ეაშენებთ. უკანასკნელ საბჭოს კრე-ბაზედ ხმოსანმა არჯეეანიმემ მიაკცია ქალაქის უწ-რადლება მასზედ, რომ დიდი ბალი შუა ქალაქში უწინდელ ყაბახის მოედანზედ გაშენებული და მთა-ეარ-მშართებლის თ. ბარათინსკის მეონებით მშე-ნიერ სასიეროდ გადაქცეული, ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ პატოისანს კაცს იქ აღარ შეესვლე-ბაო; რომ ჩინეს შეიღებს, ძმებსა და დებს უნებუ-

რად ამ ბაღზედ უდევთ გზა და სახლსა და სკოლას შუა ჰკარგავენ იმას, რასაც ეერც სახლში და ეერც სკოლაში ეელარ შეიძენენო,—ჰკარგვენო მორცხეობის გრძობისა იმ უწმინდურის და უწნეო ყოფა-ქცევის ხილვით, რის ბუდედაც ეს ბალი გადაქცა დღისა და დამის ყოველს დროსა და ეამსაო.

საბჭომ, ამ სიტყვით ჩაგონებულმა, მიიღო წინადადება ხმოსანის ა. ბაქრაძისა, რომ წრეულობით ხუთასი თუმანი მეტი გადაიდოს როგორც ამ ბაღის შეკეთებისა და მოვლა-პატრონობისათვის, ისე ქალაქის სხვა ადგილებში ხეების გაშენებისათვის.

ხმოსანმა მ. თამაშოვმა მიაკცია საბჭოს ყურადღება მასზედ, რომ სასურევილია ამ საქმეს გამგეობა ესლაეე შეუდგეს და არ გადასდოს ისე, როგორც ბევრი სხვა ამ ევარი ახალი საბჭოს სასარგებლო აზრის განზორციელება ვადასდოა.

ერთი მიზეზითაკანი

ჩვენებურსაფლებში მეურნეობის დაცემას

I



ნებურად მაგონდება წლებიანდელი ახალი წელიწადი. ერთ ოჯახს შეუნახავს ძველი ჩვენებურსაფლება და მის კერას-წინ ეხედავთ თელის ტუბაკს „საკლეველად“ შემოტარებულს ახალწლის დამეს. ტუბაკზედ აწვეია ნამსცხარის გუთნები, უღელი, ბარი, ორმო, ჰეოლა... მაგრამ ყველაზედ ბლომად ხმლები! მთელი ჩვენი ქვეყნის მიმართულეებას მიხატვის ეს, ჩვენი სოფლის ცხოვრების მთელი ფილოსოფია არის ამაში გამოხატული.

კერასთან მყოფმა ღია კარებიდან ვაძვებე ცაში აყუდებულ საოცარ მოხაზულობის მწვერვალთ, აქედან თვალი უნებურად დაქანდა ტყით მოსილ მშვენიერ კალთებზედ და დაჰყვა ძირებზედ ბლომად ეეება ეეება მზრის სოფლის ალაზნის ევლზედ ქაბამედ, ნუნამდე... ცხადი იყო ჩემთვის, რომ იმ მოსეს, რომელსაც მოეყენა ჩვენი ხალხი ამ მართ-ლა და რძე-თაფლ მომდინარე ქვეყანაში, შეგნებუ-ლი ექნებოდა მხნეობასთან შეუპოვარი თვისებად ჩვენის ხალხისა... ამ მართლა ბარი, გუთანი და წე-რეპეი არა ემაროდა, არამე ერთი შეპრჩინოდა ამ მშე-ნიერ და პოხიერება—დაუშრეტელ ქვეყანას... ეს კლდე-ანი ფინლიანდია, შეეცია და ნორეგია ეი არ იყო, რომლებზედაც თვალი არ მოსულია უკანასკნელ მე-ომარსაც ეი და მკვიდრთ არენი მესცილებია. იმიტო-მაც იყო საჭირო ჩვენში ბარსა, გუთანსა და თოხ-თან ხმალი, დიადი მკლავი, მხენი და უშიზარი გუ-

ლი, თორემ არამც თუ სამშობლოს, მზის შუქსაც კი გამოასალმებდნენ მტრები ერს...

ღიად, მიხვდი, რისთვისაც პურის გუთნებში ბარსა და ნამგლებში ბლომად აერიათ ხმლები ტაბაჭედ... ყოველ მამათ-სქეს ყმაწვილისთვის დავკრა დიასახლისი ხმალი... დღდათ სქესს კი თავიანთთვის გამოეცხოთ: ჯარა, თითის-ტარი, ფურის-ტუ-ტუ, ქათმის კლანჭი... ამით მირთმევასაც თავის წეს-წყობილება აქვს: დიანეი შეექცევიან მხოლოდ ჯარას, ფურის-ტუტუს, ქათმის-კლანჭს, რომ ამითი სიყვარულით იყვენ გამსკელოლნი მთელი წელიწადი; მამაკენი სკამენ ბარს, წერაქეს, ხმალს, ეგება მათი ხელმარჯვედ ხმარება „დაგვეყვებომა“...

II

ერს, რომელსაც თავის სიცოცხლე მეურნეობასთან შეუყისსო-ხორცებია, იმ წერტილამდის მაინც უნდა მისულიყოს, საიდანაც დაქვეითების ნაცელად, მისთვის აღვილია ამ საქმეში წინ-წყავეა. ღიად ეს თითქმის ასეც იყო ჩვენში ამ თხუთმეტის და ოცის წლის წინად. ბერი რამეც მხოწმობს ამას, მაგრამ მრავალმა ვარამმა ერთად თავ-მოყრილმა თავისი დაშართა ჩვენ ხალხს და დააქვეითა იგი მეურნეობაშიაც კი... ერთ მიზეზთვანს ამ წერილში ვაერკვევ.

ვისაც ამ თხუთმეტი წლის წინად ჩენი სოფლისთვის თვალ-ყური უდევრებია, იმას ეხსოვება, როგორ ბეჯითად დადიოდა ყოველი გლები ყრილობაზედ, როგორი ხმაურობა ისმოდა იმ ყრილობებში. იქ ვისიმე მიწოდება სკობრა არ იყო. უქმედდეს ყველა ყრილობისთვის სეზაღებოდა, რომ იქ სასოფლო საქმეს თავის ჭკუის ძალით შესწოდა. იმ დროს სიმღერებში ხშირად ისმოდა ეს აწ მივიწყებული ლექსი:

„სოფელს სტირიან ქალები,  
კი ვაქკაცი კვდებოა;  
ღმერთო, ნუ მოჰკლავ ვაქკასა,  
სოფელი წაგეხიდებოა... და სხე...“

მაშინდელი ყრილობა ქუხდა სოფლის ნამდელი საქმეებზედ, მეურნეობაზედ ზრუნვის გამო. იქ გესმოდათ დალაგებული სჯა ანეულის ხენის ვადაზედ, ფარცების ვატანაზედ, სიმინდის საჭრელად ვასელაზედ, სათიბის შეკვრისა და ვახსნის ვადაზედ, საქონლის საძოვარ იალაღებზედ, გზებზედ, არხებზედ, ბოგირებზედ, ვენახების შესახებ საქმეებზედ, სამლოცვეზედ, ქერი-ობოლოთ ხელ-წაშველებაზედ, „გათრეულას“ \* )

\* „გათრეულა ალის“ ვადამეტებელი ერთი დღის ნახანია რომელსაც გუთნის-დღეები ქვირე-ობლებს იფად ასიღებენ და ასე შეკვრელ ფულებით სამლოცს მპირაფად. ქვირე-ობერთ ყანის მოძაქ, მოტანა, ვენახის შეშუშავება ხომ სოფელურად ძალიან ხშირად იყო ხოლმე აქამომედ სოფელში.

მათთვის იფად დათმობაზედ და სხე და სხე... იმიტომაც ასეთ ყრილობაზედ ლაპარაკი ყველა გლეხისთვის ვასაგები იყო; ახლა კი სრულიად სხევას ეხედეთ: გლები, მეტადრე რიგიანი მხენელ-მთესველი ძალიან ერადება და მიურბის აწინდელ ყრილობას. აწინდელი ყრილობის ზრუნვა ძალიან შორს არის მათ ინტერესებთან და ამიტომ ყრილობაზედ გლეხთა მიწოდება ვადენელა. დღეს ყრილობაზედ ანგარიშს ლტუნებს და ურადნიკულ სკოლაში ვაწილ კაცებსა აქეთ ალაგი; იმ გლესთ, რომელთაც მინდვისა აღარა სწამთრა და ყოველ ცისმარე დღეს ლამებენ დუქნებში, კანცელარიებში, საპრისტაობებში, საზაფრობებში... აწინდელ ყრილობაზედ ლაპარაკი მარტო ამ გვარ ხალხთთვის არის ვასაგები და ყოველივე ვანაწიეი ამათი მეცადინეობათ დავება... იმიტომაც ახლა უწინაურ ვანაწიეებს შეხვდებით: „რადგან ჩენი დიდებული ვაჭარი არუთინა ხალხის ძაან შემბრალებელია და იფად ჰყიდის ლენოს, არაყს, საპონს, იმიტომ პრისტეს ეთხოვოს შეუამელომა მენდლით დაავლოლონოა.“ ამბობს სოფლის აწინდელი ვანაწიეი. — „რადგან ჩენი პრისტეი და მამასხლისი ძაან არიან ქვეყნისთვის მარგებელნი, იმიტომ მარმარილოს ფიცრებზედ ამოიჭრას ამათი სახელი და კანცელარიას მიეკრასა“, წავიკითხე ამ ორი კვირის წინად ერთ სოფლის ყრილობის ვანაწიე მი... ხენა-თესვის, მეურნეობის შესახებ არა რაიმე არ იწერება. ასე, როდესაც მეურნეობას საერთო მზრუნველობა მოაკლდა, დაქვეითებაც დაეტყო. აწინდელ სოფელში ათასი ყაიდის ვენახის მსხველეს, მწვეწელს და მყელავს, მიურჩქანეს შეხვდებით, ათას ყაიდის მხენელ-მთესველს და საქონლის მომვლელს... ყოველ ნაბიჯზედ ჰნახათ, რომ ერთ ნახანეში შეწერიერი მოსავალია, იმის გვერდზედ კი სათესლეც არ გამოჩნელია. ერთ ვენახს შეწერიერი დასხია, გვერდისა კი ნაცარისიყითლითა ხმება... მიზეზი ამისი ისაა, რომ **გლეხობამ ერთობა დაჰკარგა წარმოებაში**. ყოველი მათგანი ვაცალკეებით და თავისებურად აშე-შავებს თავის საქმეს, ერთმანეთს თავიანთ ვამონაცადს აღარ უზიარებენ... გუთნის, ფარცის და თესლის ვატანას ერთმანეთს აღარ უტანან. ერთი რომ ჰნანავს, მეორე ჰყელავს, მეორე ჰჭკის... ამასთან ყველას თავისი თავი მკოდნდ მოაქეს და სხეას აღარას ეკითხება. ბერჯულ შეხვედრეივარ, რომ ახალგაზდა გლები ვენახს მუშაობს, შემთხვევით შემსწრე ჭალარა გლები კი შემბრალებით თავს იქნეს და ოხვრით ბრუნდება. უნდა დაარიგოს, იტყუეთ თქვენ. მაგრამ ოხვრაც იმის მიზეზია, რომ ბერიკაცი შეკვრელნი აქვს აწინდელ სოფლის სასუქზე ამოსულ ახალგაზდას სული და გული და იცის, რომ უმეტერებისთანა ამაყი ქვეყანაზედ არა არის რა და ვერ უბედავს... უნდა ჰნახოთ ასე-

თი ახალგაზდა, რა სიამით ეწაფება აწინდელ ყრილობაზედ სხვა-და-სხვა ხრიკების ამიდანას, რა ბევრითად უგდებს ყურს სოფლის აბლაკატს და როგორ არ კადრულობს იგი საზოგადოებაში მეთურნობაზედ ხმის ამოღებას... მაშინ მიხვდებით უფრო კიდევ ბევრის ოხერას...

III

ყოველივე ხალხური არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი საქვეყნოსაკენ. იმიტომ კეთილად უნდა იქმნას მიღებული მარტო ის ცელილება ხალხურში, რაც მას ეფროა წრიდან ფართო ევროპიულ, ანუ საქვეყნო სარბიელზედ გამოიყვანს. მხოლოდ როცა ხალხს არც გონებრივი და არც ნივთიერი ძალა არ შეწყვეს ასეთ სარბიელზედ გამოსვლისათვის, მაშინ თვით ხალხური მაინც არ უნდა იქვლებოდეს. სხვაზედ რომ არა ვთქვათ რა, მეთურნობაში ხალხი კონსერვატორობით უფრო იგებს და ყოველ ნაბიჯს მკიდრად სდგამს წინ. ავიღოთ საქართველოს ახალშენებში მტკობრები მემეცები — ეს მართლა და მეთურნობის კალაპოტზედ გამოწყობილი ციო. ყოველ ნემეცს ძველებური ზნეჩვეულებების დაძრღვევის, სასტიკი გინდევნა მოილის: წესი და ედა გუნების განტანისა, თიბვის დაწყებისა, კართოფლის და ჭარხლის ამოღებისა, ევნახების შემუშავებისა და სხვა-და-სხვა ახალშენელთ სისტემადა აქვთ განსაზღვრული, თითქმის საათობით. ყოველივე ახლის შემოღება საერთო ვადაწყვეტილობისა და ბევრითად შეგნების შემდეგ ხდება და ამის გამო მარტობაც არ მოსილით. ყოველ ნაბიჯს საფუძვლად უდევს მამა-პაპისაგან ათასი ტანჯვით შექმნილი გამოცდილება. თვით ნემეცის ოჯახში ხომ გერმანიაში მთელი და ხელოვნებელი ნაშთია წინაპართა: ასი წლის საათი თავის ადგილზედვე ჰკიდია, პაპების ავეჯეულობა ძველებურ რიგებზედ ჩამწყობიებული და ახალს შეილის-შეილები ცოტასედა საჭიროებენ. ნემეცს არ უყვარს სახლის მიბრუნ-მიბრუნება, იგი ნაშთენ ფულებს სხვა წარმატებისთვის ხმარობს და მამა-პაპთ ნაამაგვევი ავეჯი ოჯახში ისევე უხარებს გულს, როგორც უხარებდათ პაპებს... ქართველობაც ამ წესს მტკიცედ მისდევდა. დასამტკიცებლად გაეცხნენოთ, რომ თუმეცა ნემეცის ციო მეთურნობას საჭიროებენ. ნემეცს ამ ოცის წლის წინად შედარება ამ მხრით ამ ორი ციოსა საერთოს ბევრს გეიჩენებდა... დღეს, მხოლოდ დღეს ძალიან აირია ეს საქმე. ერთი მიზეზთაგანი დაეხახელეთ, შემდეგში ეცდები ცი მიზეზიც და ზოგი სხეაც კიდევ უფრო გამოეარკეო.

მ. გულისაშვილი

დღეა ენა

ჩემო ამხრდელი ენო  
აყვავილი, იწყე ფიენაო,  
გისურვებ, სხვათა ენები  
შემოგნატროდეს შენაო.  
ავტორი.



მის ცხოვრების წვარია, უკვდავო, დაუშრობელი, ენა მუკური ჯარდას ხალხისთვის და უტყუარობელი; ენა წარსულის მოწყვეტი და მომავლის მშობელი, ეს საბრძანა აწუთის, დაძმარი გაჭურბული;

ენა ჰქვს კაცობრიობას კედლადა და საფუძველად, ენა სექტას ერისა, მასზედ სდგას იგი მითლად, ენა აწის დასურათებს და შეაქმს ხორციელად, ენაში გამოახატვის ბუხების ძალა ერცელად.

ენა ხალხის დადების საღარო შესანსხავი, წარსულთა საწყურეთა შესწის წინ გამოძისხავი; ენა აწის დასურათებს, უხადო, დაუხრასხავი, ენაში მოახსხავის ყოველი მოსანსხავი.

რა ბაჟეა შობოს დედაძა, ბუჟე ჰქვს საწოებელი, ერთად ბუჟეთოსან ენა ამისა მასხრდობელი; ენა თან დასდგეს, მისხურაბს ვითა ერთგული მსალებელი, ენა მისა სჯუბი და მისი მაცოცხლებელი.

ენა მანათობელი გეორგეის ხალხისნობის, ენა სულია ცხოველი ამისა ანსუბობის, ენა ვიჯდოდა ღვთიური კაცობრივის გრძობისა, ენა ერთობის ხადი და კაცობრია მძობისა.

ბაჟეა ენაში გაიხრობს თავისს გარეშეშოს, სულეარის და უსულისს სჯანთ სჯელს და გემოს, ენა რომ წამთარი გაცანტვა და გაცახვული შემოსა, მოქალაქობის, სამართაღს გემოს, გინდ სათემოს.

დედას რომ შეილი მოსტარო, ღარ ახენო თვლითა, მშობლურის გრძობით ნაწლექია დაეწესი ცეცხლის ღლითა; ენა შეუმიცრებ სტანტუკელს კურს ენულის წყლითა, მაგრამ შეორეს დახატვის ბუხებრივისა ძალითა.

თუ ხალხს სამშობლო წართვით, განსდგენით სხვაგან სუელშია, ხალხი კელაუ ხალხად დაწმება, არ დაინთქმება სურელშია; ან შეიქმს ახად სამშობლოს უდაბურს ტუე და ეელშია, ან დაბარუნეს თავისის, მტერს გამოსტანებს ხელშია.

რაცა ჰქვს, ექვდა წართვით, ნუ შეეხებით ენას, და როცა ენას წართმეეთ, დაჯგურგავს ხელა-სიმენას; ენა დაბარუნეს წართმეულს, დაეწესს გბლთა ღრუქენას, ბოლოს გაჭრება, მიკვება, მოსობს სულისს ქქენას.



არან ზოგი ქალ-ვაჟი ჩვენეუ მიწის შეიღებო, სასწავლებლებში გაუღაღნა, სიყრმადგან ნაცოდველები, აღარ მოგვანან ქართველებს, გგონათ, გამოცვალალები, თავის ქანჯედ საუბარს ირცხეან დღორციელები.

ესა გვაქვს წინაპართან, ვით განში გადმონაგვნი და როგორც სეუღა, ესა უმადღეს მატეო-საგვნი; ეინც ესას დაამახინებს, აქმნება მისი დამცემი, ის ჩათვლება საყრად, ვითარ თუა გამცემი.

რომელიც გაცნედას უცხოზედ მშობლიურს ანაბასს, ის თავის მძისაც უმუხთლებს, გულში ჩასობს დანას, ეინც დედა ერთ არ უმადღეს თავის სამშობლოს ანასს, ქებას წალ ზიზღათ ეისსებუ ქართველს ამისთანას.

თ-ლი სვიმონ გუგუნავა.

**დღეობა, ღამისთევა და საცობა**




ზაფხულიდან დაწყებას საქართველოს ყოველ კუთხეში ადგილობრივი დღესასწაულობა. ყოველს ძლიერს ხატს, რომელსამე ეკლესიაზედ დასენებულს, წელიწადში ერთი დღე მინც მოუწევს, როდესაც იგი იდიდება ყოველი კუთხიდან მოსული მლოცველებისაგან. თითოეული ოჯახი, რომელიც ითვლება ხატის კაცად, ესე იგი რომელსაც იმ ხატისათვის რაიმე შეუთქვამს, მოვალეა, წაიღეს იქ თავის ოჯახიანა, წაიყვანოს შესაწირავი, ან ცხვარი, ან კურა (ორი წლის მოზგერი), ან ვაცი (სავლიობა თხა), ან მამალი, ან და ნაწარმოები ხელსაჭმისა; ამასთანავე წაიღებს რამდენისამე დღის საგაძლს: პურს, ლეინოს, საკლავს და წაე შეთქმული ოჯახი ღამის სათევედ. დღესასწაულის წინა დამეს ეკლესიაზედ მისული ოჯახი ათესს ღამეს, ესე იგი დაანთებს ცეცხლს, თუ ეკლესია მაღლობს მითან ადგილშია და ციფა, ან არა და სათთელს. ბეგრს მლოცველს წმინდა სანთელი და საკვეცილიც მიაქვს შესაწირავად. ყოველი მლოცველი ბეჯითად ასრულებს მას, რაც ხატისათვის შეუთქვამს. ზოგი მიდის ხატობას ჩარდახიანი ურმით, ზოგი ცხენებით, ზოგი ქვეითად. ხშირად მოხდება, რომ მძიმე ავადმყოფის დედა, ან ცოლი შეუთქვამს ხატს: „თუ ავადმყოფს მომიჩჩენ, შენმა მადლმა ფეხშიშველი წამოვიდე შენ თაყვანისსაცემლადა“. ამის გამო ბეგრი თავადისშვილისა და კიდევ უფრო დიდი-კაცის ქალები მიდიოდენ უწინ ფეხშიშველი ხატობაზედ. ვინ არ იცის, რომ მეფე ერეკლეს მუდლუც, დარეჯან დედოფალი, ფეხშიშველი წაბრძანდა სახალხიდან მეტეხის ეკლესიაში ღეთის-

მშობლის შესავედრებლად, როდესაც მეფე ერეკლე ასპინძის ომის ვადასახდელად იყო წასული და როდესაც ტფილისში ხმა დავარდა, რომ მეფე დამარცხებულია. ღამისთევის დროს შემთქმელმა მლოცველმა არ უნდა დაიძინოს მთელი ღამე, უნდა ილოცოს და აასრულოს ხატის წინაშე, რაც შეუთქვამს. ბეგრი მლოცველთაგანი ღამისთევის დროს რამდენჯერმე გარს შემოუვლის ეკლესიას მუხლ-მოყრალი. ზოგი დედა-კაცი მოიტანს თითისტარზე დახვეულს ბამბის, ან ღაზის ძაფს და გარშემოახვევს ეკლესიას, შემდეგ თეთი თითის ტარსაც საყდრის კედელზედ მიარქვამს. ღამის მთვლელებს და მლოცველებს გარდა მრავალი ხალხი სტუმრადაც მიდის იმ სოფელში, სადაც ხატის დღესასწაულია, ან ხატობა, იციან. ყოველს ოჯახს იმ სოფელში ჰყავს სტუმრები თავის შეძლებისამებრ: ზოგი ოჯახის მონათესავე, ზოგი მეგობარი და კარგი ნაცნობი. ყველანი, დღეობაზედ მოსულნი, ეკლესიის შემომავლად იწოდებიან, მოიყრინ თავს ეკლესიის ვალანში, მოისმენენ წირვას და ნაწირვებს ვამართვენ თემობას, სადაც ქალი და კაცი ეძლევა ღვინს, მზიარულენს, ფერხულს და თამაშს.

ხშირად ამისთანა თემობაში იმართება სხვადასხვა დროს გატარებაც, მაგალითად ჭიდაობა, ჯირათი და სხვ. ქალაქებში კი ხშირად იცოდენ კრივის გამართვაცა. მაგალითად ტფილისში განთქმული ყოფილა კვირაცხოვლობისა და მთაწმინდობის კრივი. ერთს ამ გეგარს კრივს, რომელიც მომხდარა მთავარამართელის ციციანოვის დროს თ. დ. ი. ბებულაშვილი ასწერს შემდეგი სიტყვებით: „როცა ქალაქს გარეთ დიწყებოდა კრივი, მაშინ დედაცუკები აირჩევიდენ მალობს ადგილებს, საიდანაც ძალიან კარგად იხედებოდა კრივი ძირს მიწდარზედ... ძალიან კარგი საყურებელი იყო თეთრი ჩაღრიანი ქალები, რომელნიც ბაწრებდა ვაბმულნი მთების სერებიდან ვადმოკურებდენ მოკრივეებსა. ისინი ყვირილით და წაქვზებით აწმენებდენ მოკამათეთა... ქართველს ქალს ის უფრო მოსწონდა, რომელიც კრივში მხნედ ობობდა და მოკრივეც თვის არ ზოგავდა, რომ თავის სატრფოსათვის ესამოიფენინა და სახელი დავეღო. რასაკვირველია კრივს კარგი მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართველი ყმაწვილობიდანვე ეჩვიოდა ბრძოლაში ხერხიანობას, თანდათან ემატებოდა ბურებითი გამგებლობა, სიტკიცე, სიმარჯვე, თვალის სიმკერცხლე, ერთი სიტყვით ყველა თვისება. რაც კი ბრძოლაში გამოადგებოდა...

„თერთმეტ საათზედ მოვიდოა თითონ ციციანოვი თავის ზღეზულებით—ამობს ბეგუთაშვილი—





და დადგა სოლოლაკის მთაზედო. ციციანოეს გარეთ-  
უბნის მხარე ეკირაო... ბოლოს ზურნამ დაუტრა  
ძველებური სიმღერა, ქოროლოფ, დააძახეს ბუცი(ლო-  
როტოტო) და გაიშართა კრივი. ჯერ შევიბნენით პა-  
ტარები. სხვებში მეც გამოხეტი; დაეიწყეთ შურდუ-  
ლით ქვის სროლა, თან-და-თან ვუხსლოვდებოდით  
ერთმანეთსა და კრივში ვითხოვდით. ერთი ჩემტოლა  
ბიჭი მომეარდა, იქით და აქეთ ხტოდა ჩემ წინა, რომ  
ქვა არ მიმერტყა; ბოლოს ვეცით, დაუწუყეთ ცემა  
ერთმანეთს. ჩემი მოწინააღმდეგე დატეკრით და მეც  
ტურტი გამოხეთქა. ამ დროს მომეარდა მამაჩემი და  
უნდოდა შინ გავეგზავნე. ახალი სკოლის მოსწავ-  
ლეებს აკრძალული ექცონდა კრივში სიარული. დი-  
დი ხნეწით და ტირილით ისევ დამარჩინა, ტუჩი  
წყლით მომბანა, შემსეა შინაყვის ცხენზედ და გვერ-  
